ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 302
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ბათუმი 16 აგვისტო 2012 წელი

ერთი მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილე ზვიად ბერიძის სახით და მეორე მხრივ შპს „სეზანი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის თამაზი ჩიხრაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის N29 განკარგულების საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ცნობილი მხატვრის ხასან ინაიშვილის ნამუშევრების 500 ერთეული ალბომის ბეჭდვა (CPV-79900000).

2.2. ხელშეკრულების საგანი უნდა იყოს შემდეგი პარამეტრების: ფორმატი: A4 (30X24სმ), გვერდების რაოდენობა: 64+გარეკანი, შიგთავსი: 170 გრ. ცარცი; ბეჭდვა: 4x4, დისპ. ლაქი 1/1 (ყველა გვერდზე), ყდა: 300 გრ. ცარცი (ჩაკეცილი ყდა), ყდაზე პარკლის ლამინაცია 1/0, თერმული აკინძვა შეკერვით.

2.3. წიგნს (ალბომს) მინიჭებული აქვს ISBN 978-9941-0-4723-7. აღნიშნული კოდი უნდა მიეთითოს სატიტულო გვერდის მეორე მხარეს (ქვედა მარცხენა კუთხეში).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5800 (ხუთი ათას რვაასი) ლარს;

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2012 წლის 7 სექტემბრამდე;

3.2. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები;

3.3. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

3.4 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები;

3.5. მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში;

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აიდა აბუსერიძე და კულტურის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი მადონა თევზაძე;

5.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით;

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

6.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. მიმწოდებელი ვალდებულია საორგანიზაციო საკითხები წინასწარ შეათანხმოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელ პირებთან.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11.5. მხარეები ვალდებული არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად დამდაგარი ზიანი.

11.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

11.7. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 27 სექტემბრამდე პერიოდში.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
აჭარის არ განათლების, კულტურისა	შპს ,,სეზანი''
და სპორტის სამინისტრო	
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი	საქართველო, თბილისი,
მამია კომახიძის ქუჩა 119	ვირსალაძის 8
ს/კ 245427667	ს/კ 203862551
ს.ს. „საქართველოს ბანკი"	ს.ს. „თიბისი ბანკი", ცენტრ. ფილ.
მფო BAGAGE22	მფო TBCBGE22
ა/ა GE78BG0000000886744500	ა/ა GE41 TB06 0000 0101 4676 40
ზვიად ბერიძე	თამაზი ჩიხრაძე